

შპს „კომფორტი“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის
დასრულებულ საანგარიშგებო პერიოდზე



სარჩევი

- შინაარსი
- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 3 გვ.
- სრული შემოსავლის ანგარიშგება 4 გვ.
- საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 5 გვ.
- ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა განმარტებითი შენიშვნები 6-28 გვ.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში
31 დეკემბერი 2022

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

<u>აქტივები</u>		31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
<u>გრძელვადიანი აქტივები</u>			
ძირითადი საშუალებები	11	1,264,506	1,314,237
საინვესტიციო ქონება	12	-	-
არამატერიალური აქტივები	13	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,264,506	1,314,237
<u>მიმდინარე აქტივები</u>			
მარაგები	10	964,779	909,004
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	9	750,877	986,614
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	229,134	501,393
ინვესტიციები სხვა საწარმოებში		700,000	700,000
სულ მიმდინარე აქტივები		2,644,790	3,097,010
სულ აქტივები		3,909,296	4,411,247
<u>ვალდებულებები</u>			
გრძელვადიანი ვალდებულებები	14	-	-
სესხები			
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
<u>მიმდინარე ვალდებულებები</u>			
სესხები		1,719,354	1,779,690
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	13	897,768	941,353
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2,617,122	2,721,043
სულ ვალდებულებები		2,617,122	2,721,043
<u>კაპიტალი</u>			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება		1,292,174	1,690,204
სულ კაპიტალი		1,292,174	1,690,204
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		3,909,296	4,411,247

**მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში
31 დეკემბერი 2022**

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

შემოსავალი	16	6,915,492	7,522,584
გაყიდული საქონელის თვითღირებულება		(5,065,398)	(5,429,512)
საერთო მოგება		1,850,094	2,093,072
სხვა შემოსავალი	17	106,148	12,306
მიწოდების ხარჯი	18	(193,754)	(874,189)
ადმინისტრაციული ხარჯები	18	(1,571,444)	(888,774)
სხვა საოპერაციო ხარჯები	19	(60,464)	(29,589)
წმინდა საკურსო სხვაობა (შემოსულობა/ზარალი)	20	-	-
საოპერაციო მოგება		130,580	312,826
ფინანსური შემოსავალი	21	-	-
ფინანსური ხარჯი	21	(157,093)	(146,013)
მოგება დაბეგვრამდე		(26,514)	166,814
მოგების გადასახადის ხარჯი		(371,517)	-
წმინდა მოგება		(398,031)	166,814

თ. ცაფაშვილი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება				
	საწესდებო კაპიტალი	გადაფასები ს რეზერვი	გაუნაწილებ ელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2021 წლის 1 იანვარი			1,523,391	1,176,849
მოგება წლის ბოლოს სხვა სრული შემოსავალი			166,814	347,741
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	166,814	347,741
გაცემული დივიდენდი				
2021 წლის 31 დეკემბერი	-	-	1,690,205	1,524,590
მოგება წლის ბოლოს სხვა სრული შემოსავალი			(398,031)	166,814
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(398,031)	166,814
გაცემული დივიდენდი				-
აქციების გამოშვება				-
2022 წლის 31 დეკემბერი	-	-	1,292,174	1,690,205

Handwritten signature

1.ზოგადი მიმოხილვა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შპს "კომფორტის" (შემდგომში კომპანია) - ფინანსურ ანგარიშგებას.შპს კომფორტი არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. სახელმწიფო რეგისტრაციაში გატარებულია 2015 წლის 14 სექტემბერს, მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი 405116422, კომპანიის სახელწოდებაა "კომფორტი". იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორია/დიდმის სასწავლო საცდელი მეურნეობა ნაკვ.14/260. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქმიანობას ახორციელებს ექვთიმე ხელაძის ქ.№8 და ჩაჩავას ქ.№ 8. E-mail: stccomfort@gmail.com. კომპანიის დამფუძნებელია თეიმურაზ დალაქიშვილი - პ/ნ 01009002719 - წილის 100 %; კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 0 ლარს.

2015 წლის 14 სექტემბრიდან კომპანიის დირექტორად დაინიშნა თეიმურაზ დალაქიშვილი.

საზოგადოების შექმნის ძირითადი მიზანია სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებით მაქსიმალური მოგების მიღება, როგორც საქართველოში ასევე საზღვარგარეთ, პარტნიორთა ინტერესების შესაბამისად. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სადისტრიბუციო საქმიანობა. აგრეთვე ყველა სახის სხვა საქმიანობა რაც კანონმდებლობით არ არის აკრძალული, გარდა იმ საქმიანობისა, რომელიც საჭიროებს ნებართვას და ლიცენზიას. კომპანიის წესდებით განსაზღვრული საქმიანობაა - ჰიგიენური ქაღალდის წარმოება და დისტრიბუცია.

საზოგადოების უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს პარტნიორთა კრება;

2.ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე,გარდა ძირითადი საშუალებების ცალკეული ჯგუფებისა, რომლებიც წარმოდგენილია გადაფასებული ღირებულებით.. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში

ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები მოხდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-5 შენიშვნაში.

საოპერაციო და ანგარიშების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, ათასებში. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილი ლარებში დამრგვალებულია ათასამდე, თუ სპეციალურად სხვა რამ არ არის აღნიშნული.

3. შეფასებების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებზე და ხარჯებზე. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობები გამოყენებული, ან სადაც მენეჯმენტის მიერ გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, განხილულია 28-ე შენიშვნაში.

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული და დამტკიცებულია 2023 წლის 14 აგვისტოს.

4. მსს ფასს-ზე გადასვლა

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოს მეორე ფინანსური ანგარიშგება რომელიც მომზადებულია მსს ფასს-ის შესაბამისად.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2017 წლის 1 იანვარი. საწარმომ მსს ფასს-ის შესაბამისი საწყისი ფინანსური ანგარიშგება მოამზადა აღნიშნულ თარიღში.

მსს ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში საწარმომ გამოიყენა ყველა სავალდებულო გამონაკლისი.

კომპანიას გასულ პერიოდებში წარადგინა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისად აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაში არის მოცემული ადრინდელი სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით მომზადებული 2018 წლის მოგების ან ზარალის შეჯერება იმავე პერიოდის მოგებასთან, ან ზარალთან, რომელიც განსაზღვრულია მსს ფასს სტანდარტის მიხედვით.

5. საადრიცხო პოლიტიკა

ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა. მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

(ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

(ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;

(გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;

(დ) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს;

(ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება

ამონაგები მომსახურებიდან აღიარდება, როცა შემოსავალი საიმედოდ შეიძლება იქნას შეფასებული. მოსალოდნელია რომ კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს. ანგარიშგების თარიღისთვის კონტრაქტის დასრულების სტადია საიმედოდ იქნეს შეფასებული. და ტრანზაქციასთან დაკავშირებული. ტრანზაქციის დასრულებისთვის საჭირო ხარჯები საიმედოდ იქნეს შეფასებული

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან ამონაგებისა და საპროცენტო შემოსავლების გარდა, აღიარება როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება თუ მოსალოდნელია საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეებზე გაცემულ განაწილებებთან. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადისა და გადავადებული გადასახადის ჯამი. მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრ მოგებას.

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას. კომპანიის საგადასახადო ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც რომელიც ძალაშია საანგარიშგებო თარიღისათვის.

2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადის შესახებ ცვლილება ითვალისწინებს მოგების გადასახადით დაბეგვრას მოგების განაწილების დროს. საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს კვლავ 15%-ს. მოგების გადასახადით მოხდება არა წლიური შედეგების, არამედ ყოველთვიური შედეგის დაბეგვრა.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

დივიდენდების გაცემა

სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის

ხარჯები რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას

უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები

ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებული მოგების განაწილებისას, თუ ასეთი მოგება ნაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში, ხდება წინა წლებში გადახდილი მოგების გადასახადის ჩათვლა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ მოგებაზე ფაქტიურად დარიცხულ მოგების გადასახადს. აღნიშნული აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება.

დივიდენდების განაწილების გარდა მოგების გადასახადი გადაიხდება იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან, აღნიშნული გადასახადი აღირიცხება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში სხვა ხარჯების მუხლში.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

საქართველოს საგადასახადო კანოკმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ურთიერთგადახურვით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეული ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც დაკლებული აქვს ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ძირითადი საშუალების ერთეულის თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით, აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადები:

ჯგუფების დასახელება

ცვეთის ნორმა

- შენობა-ნაგებობები	25-50 წელი
- მოწყობილობა-დანადგარები	5-15 წელი
- სატრანსპორტო საშუალებები	3-10 წელი
- კომპიუტერები და სხვა საოფისე აღჭურვილობა	5-10 წელი
- ავეჯი	5-15 წელი
- სხვა ძირითადი საშუალებები	5-10 წელი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავალი/სხვა ხარჯები

საინვესტიციო ქონება.

საინვესტიციო ქონება მოიცავს იმ საოფისე შენობების ნაწილს, რომელიც განკუთვნილია გრძელ-ვადიანი საიჯარო შემოსავლებისათვის ან კაპიტალის და მიწის ღირებულების გაზრდისათვის საოპერაციო იჯარის ფარგლებში, რომელიც განკუთვნილია კაპიტალის გრძელვადიანი

ღირებულების გაზრდისათვის ან მიმდინარე მომენტში გაურკვეველი გამოყენებისათვის.

საინვესტიციო ქონება მოიცავს ისეთ ქონებას, რომელიც სამომავლო გამოყენებისათვის შენდება ან

შემუშავების სტადიაშია საინვესტიციო საშუალებების სახით. საინვესტიციო ქონება

თავდაპირველად აღიარებადია თვითღირებულებით და შემდგომში აღიარებადია სამართლიანი

ღირებულებით, რომელიც დგინდება დამოუკიდებელი პროფესიონალური ღირებულებების

უმაღლესი და საუკეთესო გამოყენების საფუძველზე. სამართლიანი ღირებულების ცვლილებები

ისახება მოგება-ზარალის შემადგენლობაში. საინვესტიციო ქონება ექვემდებარე პერიოდულ

შეკეთებას ან გაუმჯობესებას. კაპიტალური შეკეთების და გაუმჯობესებების ღირებულება

კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული კომპონენტების საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება

მოგება-ზარალში. მომსახურების, შეკეთების და მცირედი დაგაუმჯობესებების ღირებულების

აღიარება ხდება მოგება-ზარალის შემადგენლობაში მათი წარმოშობის ფაქტისას. საინვესტიციო

ქონების განკარგვისას, სხვაობა მიღებული განკარგვის გადაცემიდან და საბალანსო ღირებულებიდან

აღიარებულია მოგება-ზარალში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით, აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც ხუთ წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ამორტიზაცია შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯი ჩაირთვება ადმინისტრაციულ ხარჯებში.

არამატერიალური აქტივების აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი არამატერიალური აქტივების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავალი/სხვა ხარჯები.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ხდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების მაჩვენებელი, ხდება აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა

ჯგუფი) ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება და შედარება მის საბალანსო ღირებულებასთან. იმ შემთხვევაში თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება მცირდება შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე, თითოეული მარაგის ელემენტის (ან მსგავსი მარაგების ჯგუფის) საბალანსო ღირებულების შედარებით გასაყიდ ფასთან, რომელიც შემცირებულია პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით. თუ მარაგი (ან მსგავსი მარაგების ჯგუფი) გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე, და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა, როდესაც საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემა ხდება ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ მიღწეულ იქნეს მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები გამოაკლდება მოგებისა და ზარალის განსაზღვრისას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური აქტივები შედგება ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტებისაგან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისაგან.

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და მოთხოვნამდე ანგარიშებზე განთავსებულ ფულს.

ძირითადად გაყიდვები ხორციელდება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. საწარმო სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს გარიგების ფასით. შემდგომში ფინანსური აქტივების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება გადაიხედება, რათა მოხდეს განისაზღვროს არსებობს თუ არა მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები. მათი არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელია გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან, საწარმო აღადგენს წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალს გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, ისე რომ გაუფასურების ზარალის აღდგენის შედეგად ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება (გაუფასურების რეზერვის ანგარიშის თანხების გამოკლებით) არ იყოს იმ თანხაზე მეტი, რაც იქნებოდა აქტივის საბალანსო ღირებულება იმ შემთხვევაში, თუ წინა პერიოდებში არ მოხდებოდა გაუფასურების აღიარება. საწარმო გაუფასურების კომპენსირების თანხას დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც:

- (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;
- (ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან
- (გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური ვალდებულებები შედგება აღებული სესხებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისაგან.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და თავდაპირველად აისახება გარიგების ფასით.

საბანკო სესხები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა და კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ხარჯი.

საწარმო ფინანსური ვალდებულების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტს, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მის შემენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

სასაქონლო მატერიალური მარაგები არის აქტივები რომლებიც განკუთვნილია მომხმარებელზე გასაყიდად, წარმოების პროცესში გამოსაყენებლად ან მომხმარებლისთვის მომსახურების გასაწევად. სასაქონლო მატერიალური მარაგები ასევე მოიცავს სათადარიგო ნაწილებს, სარეზერვო ტექნიკასა და მომსახურების გასაწევ ტექნიკას თუ ისინი არ შეესაბამებიან ძირითადი საშუალებების განმარტებას.

სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულებად მიჩნეულია ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში აქტივის გასაყიდი ფასი, რასაც აკლდება აქტივის გაყიდვასთან დაკავშირებული სავარაუდო დანახარჯები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ძირითადად გაყიდვები ხორციელდება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო ვადა აღემატება სტანდარტულ საკრედიტო ვადას, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება უნდა გადაისინჯოს, რათა განისაზღვროს არსებობს თუ არა

ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მოთხოვნები არ არის ამოღებადი. იმ შემთხვევაში თუ ასეთი მტკიცებულება არსებობს, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი. უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები—ხანგრძლივი მუშაობის სტაჟისათვის ვალდებულება

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოს ვალდებულებები უკავშირდება სავალდებულო სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ხანგრძლივი მუშაობის სტაჟის გასამრჯელოს. ეს პროგრამა ვრცელდება

სრულ განაკვეთზე მომუშავე ყველა თანამშრომელზე, გარდა დირექტორებისა. გასამრჯელოს გადახდა ხდება მუშაობის ყოველი ხუთი წლის ბოლოს, ხელფასის 5 პროცენტის ოდენობით (გაანგარიშების ბაზად აიღება გასამრჯელოს გადახდის თარიღის წინა თორმეტი თვის ხელფასი). ჯგუფი აღნიშნულ ვალდებულებას წინასწარ არ აფინანსებს.

ჯგუფის დანახარჯები და ვალდებულება, რომ დაქირავებულ მომუშავეებს გადაუხადოს გასამრჯელოები ხანგრძლივი მუშაობის სტაჟისთვის, აღიარდება მომუშავეთა დასაქმების პერიოდებში. ზემოაღნიშნული დანახარჯებისა და ვალდებულების შეფასება ხდება პროგნოზირებული პირობითი ერთეულის მეთოდის გამოყენებით, საშუალო წლიური ხელფასის 4 პროცენტით ზრდის დაშვებითა და მომუშავეთა დენადობის შესახებ ჯგუფის უახლესი წარსულის გამოცდილების გათვალისწინებით, რომლის დისკონტირება ხდება მაღალი ხარისხის კორპორაციული ობლიგაციების მიმდინარე საბაზრო შემოსავლიანობის საფუძველზე.

უცხოური ვალუტა

სამუშაო და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც კომპანია ეწევა საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2022 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.7020 ლარს. (2021 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 3.0976 ლარი).

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

6. განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

კომპანია აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებებისა და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ

შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიიჩნევა, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა საადრიცხო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად იყენებს ასევე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა
ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია და ემყარება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა მოსალოდნელი მოხმარება, შეფასებული ტექნიკური მოძველება, ფიზიკური ცვეთა და ფიზიკური გარემო, სადაც გამოიყენება აქტივი. ზემოაღნიშნული პირობებიდან ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

უიმედო ვალების რეზერვი

სავაჭრო დებიტორული მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული კლიენტებისგან თანხების ამოღება. ამ რეზერვის შეფასებისას ხელმძღვანელობა ეფუძნება მოთხოვნების ნაშთების ვადას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის სანდოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის ან კონკრეტული კლიენტის პირობების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული რეზერვის კორექტირება.

ცვლილება საგადასახადო კანონმდებლობაში

საქართველოში მოქმედი საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად იცვლება და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამასთანავე, საგადასახადო ორგანოების მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და ინტერპრეტაცია შეიძლება არ ემთხვეოდეს კომპანიის ხელმძღვანელობის ინტერპრეტაციებს. ამის გამო საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენონ გარიგებები და კომპანიას დააკისრონ მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

საგადასახადო და საბაჟო ორგანოებს უფლება აქვთ, საგადასახადო კუთხით შეამოწმონ კომპანიის საქმიანობა წინა სამი კალენდარული წლის განმავლობაში. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდიც მოიცვას.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული განმარტება ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო და საბაჟო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები უცვლელი დარჩება.

7. დივიდენდების გადახდის შეზღუდვა

ბანკის სესხისა და ბანკის ოვერდრაფტის ხელშეკრულებების პირობების მიხედვით დაუშვებელია ისეთი ოდენობის დივიდენდების გადახდა, რაც გაუნაწილებელი მოგების ნაშთს შეამცირებს ბანკისა და ბანკის ოვერდრაფტის მიმდინარე ნაშთების ჯამზე ნაკლებ სიდიდემდე.

8. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები

	2022	2021
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	26175	484030
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	21852	16526
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	181106	836
სულ	229134	501392

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

დასახელება	2022 წ.	2021 წ.
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახ.	725597	971973
საექვო მოთხოვნების (საწევრო) კორექტირება		
მოთხოვნები პერსონალთან		
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები		-
წინასწარ გადახდილი გადასახადები	25280	14641
სულ მოთხოვნები და წინასწარ გადახდები:	750877	986614

სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებით არ ხდებოდა გაუფასურების აღიარება. ხელმძღვანელობამ მოახდინა გაუფასურების რეზერვის შეფასება და შესაბამისი ხარჯების აღიარება.

10. მარაგი

დასახელება	2022 წ.	2021 წ.
საქონელი	314333	447043
მზა პროდუქცია	129790	107767
სხვა მარაგი	520656	354193
სულ მარაგი:	964779	909004

მარაგებს არ უტარდებოდა გაუფასურებაზე ტესტირება. ხელმძღვანელობამ მოახდინა მარაგების შეფასება უმცირესით თვითღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს შორის.

11. ძირითადი საშუალებები

კომპანია არ ახდენდა ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის პერიოდულად გადახედვას და ცვლილებას საჭიროების შემთხვევაში. ხელმძღვანელობამ 2018 წლის ბოლოს მოახდინა სასარგებლო მომსახურების ვადების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში ცვლეტის გადაანგარიშებას.

შენიშვნა 3

ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობები	მანქანა- დანადგარები	აკეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
31 დეკემბერი 2021	193,000	141,289	779,308	31,754	168,898	1,314,248
შემოსვლა	-	-	-	-	293,475	293,475
გადაფასება	-	-	-	-	(16,476)	(16,476)
გასვლა	-	-	-	-	(121,271)	(121,271)
31 დეკემბერი 2022	193,000	141,289	779,308	31,754	324,626	1,469,976
31 დეკემბერი 2021	-	-	-	-	-	-
პერიოდის ცვლათა გაუფასურება	-	(5,567)	(159,190)	(13,761)	(26,939)	(205,457)
გასვლა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	-	(5,567)	(159,190)	(13,761)	(26,939)	(205,457)
წმინდა საბალანსო ღირებულება	193,000	141,289	779,308	31,754	168,898	1,314,248
31 დეკემბერი 2022	193,000	135,722	620,118	17,993	297,687	1,264,519

12.საინვესტიციო ქონება

კომპანიის საინვესტიციო ქონება შედგება 1000კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთისგან,რომელიც მდებარეობს ქ.თბილისი აგრალური უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორია ნაკვეთი 14/467 მონაწილეობას არ ღებულობს კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში და 2017 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით საინვესტიციო ქონება შეფასებულია საბაზრო ფასით.

საინვესტიციო ქონება	2022	2021
რეალური ღირებულება 1.01.2022	120000	120000
რეალური ღირებულება 31.12.2022	120000	120000

13. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არ მქონე არა ფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივი მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარდება ბალანსში, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს სამომავლოდ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულება შეფასებული იქნება საიმედოდ

არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით.გამოითვლება წრფივი მეთოდით რაც გულისხმობს აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გემგირი საექსპულატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). კომპანიის არამატერიალური აქტივების ბალანსი შედგება პროგრამული უზრუნველყოფისგან, რომლისთვისაც სასარგებლო ვადაა 7 წელი.

არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასიცოცხლო ვადით არ იცვითება. ისინი ყოველწლიურად მოწმდება გაუფასურებაზე და გაუფასურების ზარალი აისახება მოგება/ზარალის უწყისში წარმოშობიდანვე. განუსაზღვრელი ვადის არამატერიალური აქტივები ყოველწლიურად მოწმდება, რათა შეფასდეს მათი სასიცოცხლო ვადები ისევ განუსაზღვრელია თუ არა. თუ ანალიზი აჩვენებს, რომ სასიცოცხლო ვადის დადგენა შესაძლებელია, მაშინ არამატერიალური აქტივები იცვითება დადგენილი ვადის მიხედვით

14. სავაჭროდა სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2022	2021
სავაჭრო ვალდებულებები	897768	924938
ვალდებულებები მომსახურე პერსონალის მიმართ (შენიშვნა 20)	-	-
მიღებული ავანსები	-	-
გადასახდელი დღგ	-	16415
სულ	897768	941353

15. ბანკის ოვერდრაფტი და სესხი

ცხრილი

დასახელება	2022 წ.	2021 წ.
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები გადასახდელი პროცენტი	1719354	1779690
სულ:	1719354	1779690

მოკლევადიანი სესხები წარმოადგენს ბანკიდან აღებულ სესხს, რომელიც დენომინირებულია ევროში. საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 3,9% ჯამურად სესხებზე რომლის ოდენობა 1081540 ლარის ეკვივალენტია, სესხების დაფარვის ვადები შემდეგია: 340000 ევრო 2025 წლის დეკემბერი, სესხებს ახლავს პირობა რომ ბანკს შეუძლია საჭიროების შემთხვევაში თავისი შეხედულებისამებრ განახორციელოს სესხის სრულად ან ნაწილობრივ დაფარვა მსესხებლის ანგარიშზე არსებული თანხებით, შესაბამისად ყველა სესხი კლასიფიცირებულ იქნა მოკლევადიან სესხად. კომპანიას ბანკის მიერ დაწესებული აქვს შეზღუდვები, რომლის თანახმადაც საჭიროა ფინანსური დაწესებულების თანხმობა კაპიტალური ინვესტიციების განსახორციელებლად, აგრეთვე უნდა შეინარჩუნოს სესხის მომსახურების კოეფიციენტები ბანკის მიერ დადგენილ დონეზე. ყველა საბანკო სესხი უზრუნველყოფილია საწარმოს ქონებით

16.ფინანსური ინსტრუმენტები

<i>ფინანსური აქტივები</i>	2022	2021
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	750877	986614
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშზე	229134	501392
სულ	980011	1488006

<i>ფინანსური ვალდებულებები</i>	2022	2021
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები	1719354	1779690
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	897768	941353
სულ	2617122	2721043

17. საოპერაციო ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

კომპანიას საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარით აღებული აქვს სასაწყობო და საოფისე ფართი. იჯარის საშუალო ვადა სამი წელია, ამავე ვადაში ფიქსირებული საიჯარო გადასახადების გადახდით.

18. ამონაგები

საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების რეალიზაციიდან ნეტო ამონაგები შემდეგნაირად იშიფრება:

დასახელება	2022 წ.	2021 წ.
საქონლის გაყიდვა	6915492	7519787
მომსახურების გაწევა	106148	12306
სხვა საოპერაციო შემოსავალი	-	2797
სულ ამონაგები:	7021640	7534890

რეალიზაცია მოიცავს, როგორც საქონლის ისე საკუთარი წარმოების პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგებს.

19. სხვა შემოსავლები

დასახელება	2022 წ.	2021 წ.
უსასყიდლოდ მიღებული სასაქონლო მატ. ფას. საბაზრო ფასი	-	-
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული შემოსულობა	-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	8125	-

20. ადმინისტრაციული ხარჯები

	2022	2021
თანამშრომლის ხელფასი	883525	863023
დასაქმებულის პენსია	11329	11166
კომუნალური ხარჯი	60047	59994
ცვეთა და ამორტიზაცია	205458	202075
საიჯარო ქირა	260466	292627
საწვავის ხარჯი	160518	151900
რემონტი	17719	30036
საოფისე ხარჯი	3072	624
წარმომადგენლობითი ხარჯი	7631	
მარკეტინგული ხარჯი	1864	
ფინანსური ხარჯი	157093	
სხვა საოპერაციო ხარჯები	153570	104767
სულ	1922291	1701299

21. სხვა ხარჯები

	2022	2021
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი	3890	-
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული ზარალი	13799	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	11762	13436
სულ	29451	13436

22. მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან - წმინდა

	2022	2021
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება	0	0
საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი	(31013)	(7442)
სულ	(31013)	(7442)

23. ფინანსური შემოსავალი და დანახარჯები

ფინანსური დანახარჯები	2022	2021
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(150040)	(132283)
სულ ფინანსური დანახარჯები	(150040)	(132283)
ფინანსური შემოსავალი		
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი	-	-
სულ ფინანსური შემოსავალი		
ნეტო ფინანსური დანახარჯები		

24. საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებების მუხლში ჩართულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის დარიცხული საბიუჯეტო გადასახადები, რომელთა გადახდის ვადა ბალანსის შედგენის თარიღისათვის ამოწურული არ არის. მათი სტრუქტურა შემდეგ სურათს იძლევა:

საგადასახადო ვალდებულებების სტრუქტურა:

დასახელება	2022 წ.	2021 წ.
გადასახდელი ქონების გადასახადი		
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი		
გადასახდელი დღგ	-	16415
სულ გადასახადები:	-	16415

25. უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია

	2022	2021
შრომის ანაზღაურება მთლიანად	127500	127500
სულ	127500	127500

26. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს, მენეჯმენტი აფასებს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს შესაძლებლობას. ამ ანალიზში მენეჯმენტმა განიხილა ყველა ზემოთ განხილული რისკი, მათ შორის ლიკვიდურობის, სავალუტო რისკების და მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ საანგარიშო თარიღისთვის კომპანიის საქმიანობა საფრთხეს არ ემუქრება და მათ არ აქვთ გეგმები კომპანიის ლიკვიდაციისთვის ან მისი საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვისთვის.

27. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია დირექტორთა საბჭოს მიერ 2023 წლის 14 აგვისტოს.

28. მნიშვნელოვანი ბუღალტრული დაშვებები და შეფასებები

დაშვებები და მსჯელობები არის მუდმივად შეფასებადი და დაფუძნებული ისტორიულ გამოცდილებაზე, ამასთან გათვალისწინებულია სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენები და სარწმუნოა რომ მიესადაგება აღნიშნულ გარემოებებს.

28.1 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

კომპანია შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული ბუღალტრული შეფასებები, განმარტების თანახმად, შესაძლოა არ დაემთხვეს რეალურ შედეგს. შეფასებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს სამომავლოდ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირების საჭიროებისა, განხილულია ქვემოთ.

ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ვადები

მენეჯმენტმა შეაფასა ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო პერიოდის ხანგრძლივობა და დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური სასიცოცხლო ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასიცოცხლო ხანგრძლივობა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები მნიშვნელოვნად განსხვავებული იქნება.

ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულების აღრიცხვა გადაფასების მეთოდის გამოყენებით.

ძირითადი საშუალებების შეფასება მოიცავს ვარაუდებსა და დაშვებებს. ამრიგად, ძირითადი საშუალებების რეალური სამართლიანი ღირებულება შეიძლება განსხვავდებოდეს ამ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხებიდან.

საბაზრო საპროცენტო განაკვეთები

მენეჯმენტმა ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზნით გამოიყენა საბაზრო საპროცენტო განაკვეთები. საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებამ შესაძლოა ფინანსურ ვალდებულებებზე და საპროცენტო ხარჯებზე იქონიოს გავლენა.

28.2 ძირითადი დაშვებები მომავალთან დაკავშირებით

მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ მთლიანი მოგების მარჟა კიდევ უფრო გაიზრდება. ეს ვარაუდი ეფუძნება კომპანიის ძლიერ საბაზრო პოზიციას.

29.ფინანსური რისკის მართვა

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ სხვადასხვა რისკებს ექვემდებარება. ძირითადი რისკების ტიპებია საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

კომპანია არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში და არ უშვებს ოფციონებს. ძირითადი ფინანსური რისკები, რომლებიც კომპანიასთან არის დაკავშირებული აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური რისკის ფაქტორები

ა) საბაზრო რისკი

კომპანიას აქვს საბაზრო რისკი ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად და ძირითადად მისი რისკები დაკავშირებულია სავალუტო რისკთან, რომელიც გამომდინარეობს მისი საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

კომპანიას ზოგიერთი ტრანზაქცია აქვს უცხოურ ვალუტაში. აქედან გამომდინარე, აქვს საკურსო სხვაობების რისკი.

კომპანიის ტრანზაქციების უმეტესობა არის ეროვნულ ვალუტაში. საკურსო სხვაობები აქვს უცხოელ მომწოდებლებთან ვაჭრობის გამო, რაც ძირითადად არის ამერიკულ დოლარში. კომპანიას ასევე აქვს სესხები უცხოურ ვალუტაში, რომლებიც საკურსო რისკს უქმნიან.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანიას გააჩნია საპროცენტო განაკვეთის რისკი, რადგან სესხები წარმოდგენილია როგორც მცურავი, ასევე ფიქსირებული განაკვეთით. კომპანიის მიერ იმართება ეს რისკი შესაბამისი ფიქსირებული და მცურავი საპროცენტო განაკვეთის სესხების შერევით.

დირექტორი:

გიორგი ბერიძე

მ. ბერიძე